ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მედია მონიტორინგი

2010 წლის 25 მარტი -1 აპრილი

ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების გაშუქება

<u>რაოდენობრივი კვლევა</u>

2010 წლის 25 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით მედია-საშუალებებში (7 საერთო-სახელმწიფოებრივი, 8 რეგიონული გაზეთი, 5 ტელევიზია) უმცირესობების გაშუქების სულ 7 ფაქტია მოკვლეული.

მოკვლეული 7 ფაქტიდან 2 ეთნიკურ უმცირესობებს ეხებოდა, ხუთი კი რელიგიურს. ეთნიკური უმცირესობების გაშუქების 2 ფაქტიდან ერთი პოზიტიური და ერთიც ნეიტრალური გაშუქება იყო. რელიგიური უმცირესობის გაშუქების ხუთი მოკვლეული ფაქტიდან კი ოთხი ნეგატიური და 1 ნეიტრალური შინაარსისა იყო.

საანალიზო პერიოდში უმცირესობები გააშუქა ორმა გაზეთმა 4 პუბლიკაციაში. ამ ოთხ პუბლიკაციაში მოკვლეული 4 ფაქტიდან 1 ნეგატიური შინაარსისა იყო, 1 პოზიტიური და 2 ნეიტრალური. უმცირესობები გააშუქა სამმა ტელეარხმა. სამაუწყებლო მედიაში (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები) მოკვლეული 3-ვე ფაქტი ნეგატიური შინაარსის გაშუქებაა.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო პერიოდში (25 მარტი – 1 აპრილი) მონიტორინგის ქვეშ მყოფი სამი ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში მართლმადიდებლობის გაშუქების ფაქტებმა ჯამში 50 შეადგინა.

საანალიზო პერიოდში კვლავ ბევრი იყო პროფესიული სტანდარტის დარღვევის შემთხვევები. საანალიზო პერიოდში უმცირესობებზე მოკვლეული ფაქტების ნახევარზე მეტი ნეგატიური გაშუქება იყო.

<u>თვისობრივი კვლევა</u>

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა მედია საშუალებების მიერ შემდეგი სტანდარტების დარღვევის ფაქტები:

<u>დისკრიმინაცია ეთნიკური/რელიგიური ნიშნით</u>

1. გაზეთში „ასავალ-დასავალი“ №13 (809); 29 მარტი-4 აპრილი, 2010, გამოქვეყნებულია ინტერვიუ მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ პრეზიდენტ მალხაზ გულაშვილთან.

> ჟურნალისტის კითხვაზე, რას იტყვით იმის შესახებ, რომ სააკაშვილმა ნოვრუზ-ბაირამი საქართველოს ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადა, გულაშვილი პასუხობს: მე ძალიან ბევრი აზერბაიჯანელი მეგობარი მყავს, როგორც თვითონ აზერბაიჯანში, ისე საქართველოში, მაგრამ ნოვრუზ-ბაირამის საქართველოს ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადება არის შეგნებული ნაბიჯი, რათა მართლმადიდებლებსა და მუსლიმანებს შორის გაღვივდეს რელიგიური შუღლი. მე ვსვამ კითხვას: ან აზერბაიჯანში, ან სომხეთში აღდგომა, გიორგობა ან მარიამობა თუ არის გამოცხადებული ეროვნულ დღესასწაულად? რა თქმა უნდა, არ არის!
>
> ყველა შეგნებული აზერბაიჯანელი კარგად ხვდება, რომ ნოვრუზ-ბაირამის საქართველოს ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადება არის პროვოკაციული ნაბიჯი, რომელიც აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის დაძაბვას ისახავს მიზნად.

ეს ფრაგმენტი ინტერვიუდან შეურაცხყოფს საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური წარმომადგენლების როგორც ეროვნულ, ასევე რელიგიურ გრძნობებს. მართალია აქ მხოლოდ სომხები და აზერბაიჯანელები არიან ნახსენები, მაგრამ განცხადება ზოგადი ხასიათისაა და ნებისმიერმა ეთნიკურმა ჯგუფმა შეიძლება დისკრიმინაციად აღიქვას. ჟურნალისტი თავის მხრივ არ აღნიშნავს კონტრშეკითხვის ან სარედაქციო კომენტარის სახით რომ რესპონდენტის პოზიცია ეთნიკური უმცირესობების მიმართ დისკრიმანციული შინაარსის არის.

2-3-4. თემა, რომელიც სამმა ტელევიზიამ (რუსთავი 2ა, 1-ლი არხი და მაესტრო) გააშუქა, რელიგიურ უმცირესობებს არა როგორც სუბექტს, არამედ როგორც ობიექტს განიხილავს.

> „ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრები ქვეყნის მოწყობასთან დაკავშირებით „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრის ლევან რამიშვილის მიერ საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილ პროექტს მხარს არ დაუჭერენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ედპ-ს წევრმა, საკონსტიტუციო კომისიის მდივანმა თენგიზ შარმანაშვილმა პარტიის ოფისში პრესკონფერენცია გამართა. ედპ-ს განცხადებით „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი ამერიკული მოდელის ელემენტებს შეიცავს, თუმცა იგი მიუღებელია რამდენიმე ფაქტორის გამო.
>
> თენგიზ შარმანაშვილი (ედპ-ს წევრი, საკონსტიტუციო კომისიის მდივანი): არსებობს სამი საკითხი, რომლის გამოც ჩვენთვის მიუღებელია წარმოდგენილი მოდელი. ეს სამი საკითხი ეხება მართლმადიდებელი ეკლესიის როლს, ქვეყნის ფედერალურ მოწყობასა და პრეზიდენტის ფუნქციებს. ლევან რამიშვილის პროექტის თანახმად ეკლესიის როლი იგნორირებულია. დღეს მოქმედი კონსტიტუციისაგან განსხვავებით, სახელმწიფოსთან საკონსტიტუციო შეთანხმების დადება არა მარტო მართლმადიდებელ ეკლესიას, არამედ ნებისმიერ კონფესიას შეუძლია, რაც ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია. ასევე მიუღებელია ქვეყნის ფედერალური მოწყობის სქემა”

ამ სიუჟეტში აშკარად ჩანს დისკრიმინაციული დამოკიდებულება არამართლმადიდებლური რელიგიებისადმი. მართალია ეს რესპონდენტის სიტყვებია, მაგრამ რედაქციას არაფერი უღონია იმისათვის, რომ ასეთი დამოკიდებულების დისკრიმინაციულობა გამოეაშკარავებინა. ამის გაკეთება ან თავად ჟურნალისტს უნდა მოეხერხებინა რესპონდენტისათვის სათანადო კითხვების დასმით, ანდა მის საპირწონედ სხვა ისეთი რესპონდენტის კომენტარი უნდა შეეტანა სიუჟეტში, ვინც დაგმობა ასეთ არატოლერანტულ და დისკრიმინაციულ გამონათქვამებს. ვინაიდან ეს არ გაკეთდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჟურნალისტიც და მთლიანად რედაქციაც იზიარებენ ამ შეხედულებებს.
მართალია, ამ შემთხვევაში ტელევიზიებმა ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის პოზიცია გააშუქეს რელიგიურ უმცირესობათა სტატუსთან დაკავშირებით, მაგრამ მათ არ წარმოუდგენიათ თავად უმცირესობების პოზიცია აღნიშნულ თემასთან დაკავშორებით, რითაც უმცირესობები განიხილება როგორც სიუჟეტის ობიექტი და არა სუბიექტი.

<u>ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაშუქება სტანდარტების დაურღვევლად</u>

5. ეთნიკური უმცირესობების პოზიტიური გაშუქების მაგალითია გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (№13 (809); 29 მარტი - 4 აპრილი, 2010) დაბეჭდილი ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან.

> „ჟურნალისტი: ახლახან მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთი ეროვნული დღესასწაული შემოიღო, ნოვრუზ-ბაირამი. რამდენად სწორია ეს?
>
> ედუარდ შევარდნაძე: ეროვნული დღესასწაული არ არის სწორი! სახელმწიფო დღესასწაული უფრო სწორი იქნებოდა. აზერბაიჯანელები ამ დღესასწაულს ყოველთვის აღნიშნავდნენ. ჩვენ ხელს ვუწყობდით მათაც, სომხებსაც, ებრაელებსაც – ყველას. ჩვენ ახალქალაქში გავხსენით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი, სადაც სწავლება იყო ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. მარნეულში გავხსენით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფილიალი, სწავლება იყო ქართულ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე. ახალქალაქის ფილიალი ამათ დახურეს და ძალიან ცუდად მოიქცნენ. მარნეულში, მგონი, ისევ არის.
>
> ნოვრუზ-ბაირამობა შეიძლება იყოს სახელმწიფო დღესასწაული, მაგრამ ეროვნული დღესასწაული არ არის, თუკი სახელმწიფო დღესასწაული იქნება, მეც მივიღებ მონაწილეობას. მე ყოველ წელს ჩავდიოდი ამ დღესასწაულზე მარნეულში. მეჩეთი გავუხსენი. ადრეც გითხარი, დადიოდნენ მეჩეთში, ლოცულობდნენ და ჩემს სადღეგრძელოს სვამდნენ.”

6. ნეიტრალურად არის გაშუქებული ნოვრუზ-ბაირამის ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადების თემა გაზეთში „რეზონანსი“ №077 (6303); 26 მარტი, 2010.

7. ასევე ნეიტრალურად გადმოსცემს იმავე ნომერში „რეზონანსი“ საპატრიარქოს განცხადებას რელიგიური უმცირესობის იეჰოვას მოწმეების მიერ გავრცელებულ მოსაწვევებთან დაკავშირებით.

თბილისი, საქართველო, მედიის განვითარების ფონდი 2010

პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის "ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში" ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშოროისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.